F 329 № 11903

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

№ 9/2
12246

სამშაბათი 1 იანვარი

წელიწადი მეოთხე.

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

407 ქარ. მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი № 407

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქუჩა № 5. საველე ელსმენი № 32.

ახალი წელი.

ევ ერთი წელი მოსწყდა დრო-
უნვას და გადაეშვა ისტორიის
ში.
იფურცლა კიდევ ერთი გვე-
კალენდრების ისტორიაში.
ტორიისათვის ერთი წელი არა-
ას წარმოადგენს, მაგრამ რე-
ოლუციონურ ხანაში ის მთელი
ს ქმნის. რევოლიუციონურ
ლის ერთი წელი მშვიდობიან
თარების მთელი საუკუნეს უდ-

შემატა გასულმა წელმა მსო-
რევოლიუციას, რა გააკეთა
რის დასრულება დაავალა მო-
წელს?
სული წელი მეტად მდიდარია
გვარ მოვლენებით. როგორც
თა რესპუბლიკების შინაურ
რებაში, ისე მსოფლიოში გა-
მა წელმა ბევრი ცვლილებე-
ანა.
23 წელში საბჭოთა კავშირის
მარეობა განამტკიცა. მრეწვე-
და მეურნეობა აყვავების, გა-
არების გზას დაადგა. საერთა-
ისო მდგომარეობა საბჭოთა კა-
რის არსებითად შეიცვალა. თუ-
თ ბურჟუაზიული ქვეყნებს არ
დათ არავითარი დამოკიდებულე-
პირათ ჩვენთან, დღეს ისინი
თავის გულისყურს საბჭოთა
ირისაკენ აპყრობენ. საბჭოთა
ირის ცნობის და მასთან ნორ-
ურ დამოკიდებულების საკითხი
ველ რიგში დგას ევროპის და
იკის ბურჟუაზიულ ქვეყნების
ში. ამერიკის სენატში გამარ-
ლი კამათი, ინგლისის პარლამე-
ს არჩევნები, საფრანგეთის ბურ-
ზიული წრეებში მომხდარი გარ-
ება, ყველა ეს იმის მაჩვენებე-
, რომ ბურჟუაზიული ქვეყნები
სკენ მოდიან.
როგორც წინა წლებში, ისე გა-
წელშიაც მსოფლიო ყურადღე-
ცენტრში გერმანია იყო. ვერ-
ის ყაჩაღურმა ზავმა, სარეპარაციო
ასახადებმა, რურის ოკუპაციამ,
ანსიურმა კრახმა, სასურსათო კრი
ზმა და სხ. მიიყვანა გერმანია სა-
წარკვეთილებამდის. გერმანიის
მათა კლასი ეკვეთა ბურჟუაზიას.
ქრობდით, რომ ეს, ეს არის იფე
ბს გერმანიის ოქტომბერითქო.
მისო პირობები იყო გერმანიაში.
რომ გერმანიის სოციალ-დემოკრა-
ის სამარცხვინო ღალატით, მათი
ქმედობით გზა გაეხსნა პირწავა-

რდნილ ფაშისტურ რეაქციას და გერმანიის რევოლიუცია დამარცხდა.

მაგრამ გერმანიის მუშათა კლასის დროებით დამარცხება უდიდესი მნიშვნელობის გაკვეთილია არა მარტო გერმანიის მუშათა კლასისათვის, არამედ მსოფლიო მშრომელთათვის. გერმანიის მაგალითზე სავსებით დარწმუნდა მსოფლიო პროლეტარიატი, რომ სოციალ-დემოკრატიასთან სიარული მას მიიყვანს ფაშიზმის დიქტატურამდე. ბულგარეთში მომხდარი აჯანყება აგრეთვე ამის საუკეთესო ილიუსტრაცია იყო.

მსოფლიო სოც.-დემოკრატიის ავტორიტეტი და გავლენა მსოფლიო ომის შემდეგ გასულ წელში ყველაზე მეტად დაეცა. სოციალ-დემოკრატიის ნამსხვრევებზე, მის ხარჯზე იზრდება კომუნისტური პარტია. რევოლიუციონური ტალღები გასულ წელში საგრძნობლად გაიზარდენ. გერმანიაში, ბულგარეთში, პოლონეთში ჩვენ ვიყავით სისხლიან აჯანყებების მოწამენი.

კერძოთ საქართველოსთვისაც ბევრი რამ კარგი მოხდა გასულ წელში. საქ. საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის გავლენა საქ. მშრომელებში ერთი ათად გაიზარდა. სამეურნეო აღმშენებლობამ, მიწის რეფორმის სავსებით გატარებამ და სხ. საქ. გლეხობა დაუახლოვა საბჭოთა ხელისუფლებას. საქ. საბჭ. ხელისუფლების სიმტკიცე და კომ. პარტიის გავლენის განმტკიცების საუკეთესო დამამტკიცებელია ანტი-საბჭოთა პარტიების გახრწნა საქართველოში. მენშევიკური და სხ. პარტიები დასამარდენ და ის ნაწილი მშრომელების, რომლებიც მათ მიყვებოდათ სავსებით შეუერთდენ მშრომელთა ხელისუფლებას.

გასულ წელს. როგორც ყველაფერს, აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. მისგან ჩვენ ველოდით გერმანიის რევოლიუციას, მან ეს იმედები არ გაამართლა. სამაგიეროთ გასულმა წელმა განამტკიცა საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა.

დღეს ჩვენ ვემშვიდობებით გასულ წელს. ვეგებებით ახალს—1924 წ. ახალ ენერგიით, ბრძოლის და აღმშენებლობის ახალ პერსპექტივებით.

ის, რაც ვერ შესძლო გასულმა წელმა, უნდა გააკეთოს მომავალმა.

რადიო-დეპეშები

— მოსკოვის ქალაქის სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა მეფის „ოხრანკაში“ ნამსახურს სუვოროვს.

— პარიზის ერთ-ერთ კომუნისტური გაზეთის რედაქტორს მიუსაჯეს 4 თვის ციხე 100 ფრანკით დაჯარიმებით.

— საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „ჩეხიის სიტყვა“ აღნიშნავს, რომ რუსეთი კვლავ იმყოფება ევროპის ყურადღების ცენტრში.

— ჰანოვერში დაატუსაღეს რამოდენიმე კომუნისტი, რომელთაც ბრალი ედებათ ნოსკეს ბინის აფეთქების ცდაში.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

დაპატიმრება ომის საწინააღმდეგო წერილისთვის.

პარიზი. კომუნისტური გაზეთის რედაქტორს (გვარი დამახინჯებულია) წინასწარ დაუპატიმრებლად მიუსაჯეს 4 თვის ციხე და ასი ფრანკი ჯარიმა ანტიმილიტარისტული წერილის მოთავსებისათვის.

მუშათა ძალდატანებით.

მუშათა წრეების, უმთავრეს და უნიტარულ პროფკავშირების ძალდატანებით, დროებით განთავისუფლებულია ციხიდან ჩრდილოეთის დეპარტამენტის კონფედერაციის უნიტარულ განყოფილების მდივანი მორის პორრე.

ვისთვის ზავი, ვისთვის ომი.

ვენის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ საფრანგეთ-ჩეხიის მოლაპარაკება კიდევ უფრო გააძლიერებს აზრთა სხვა და სხვა—ობას პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიას შორის.

გული შესტკივათ „მთელი ევროპის მშვიდობიანობისათვის“.

გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა ბენეშის წასვლაზე პარიზიდან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, რომელსაც შედეგად მოყვა საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის შეთანხმება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის არ არის მიმართული არც ერთი ევროპიული სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ მიზნად აქვს მტკიცე მშვიდობიანობა ჩამოაგდოს მთელ ევროპაში და წინააღმდეგობა გაუწიოს ჰოგენცოლერნების და ჰაბსბურგების დაბრუნებას.

მოლაპარაკება ითვალისწინებს ევროპის ეკონომიურად აღორძინების მიზნით თანამშრომლობას და წარმოადგენს არა სამხედრო კონვენციას, არამედ საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის გენერალურ შტაბის მხოლოდ შეთანხმებულ თანამშრომლობას,

ხელშეკრულების ხელისმოწერა მოსალოდნელია იანვრის მეორე ნახევრისათვის.

„მატენი“ სწერს: „ბენეშის აზრით ჩეხოსლოვაკია და საფრანგეთი შესძლებენ მიჰბაძონ ინგლისის მუშათა პარტიის მომავალ მთავრობას, რომელიც, უეჭველია, იცნობს საბჭოთა რუსეთს იურიდიულად“. გაზეთი დასძენს, საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხში ჯერ კიდევ არ არის გარკვეული.

საფრანგეთ-ჩეხიის საკავშირო მოლაპარაკების შინაარსი.

ბენეშმა დაამთავრა პარიზში მოლაპარაკება საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულებაზე. გამომუშავებულია მოლაპარაკების საბოლოო რედაქცია, რომელიც გამოქვეყნდება ორივე სახელმწიფოების ხელის მოწერის შემდეგ. ხელშეკრულება ამყარებს მეგობრული კავშირის ორივე სახელმწიფოს შორის და შეიცავს საურთიერთო ვალდებულებას ებრძოლონ ავსტრიისა და გერმანიაში ჰოგენცოლერნებისა და ჰაბსბურგების რესტავრაციის და ავსტრიის გერმანიასთან შეერთების ცდებს. მტკიცდება კავშირი ჩეხიისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის. ბენეშმა პარიზში საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელთან ერთად არჩევდა სარეპარაციო, რუსეთისა და ვენგრიის საკითხებს.

ოსმალეთ-ამერიკის შეთანხმება

ამერიკის კომისარმა კონსტანტინოპოლში ადმირალ ბრისტოლმა აცნობა სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მან ხელი მოაწერა ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებას ოსმალეთ-ამერიკის კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტის მოვალეობას შეადგენს ერთმანეთ შორის მომხდარ პრეტენზიების განხილვა ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ლოზანის კონფერენციის ხელშეკრულების რატიფიკაციის.

სვანეთი

ჩვენი ქვეყნის ერთ მთავარ უბე-
ურებათ უნდა ჩაითვალოს მისი სხ-
და სხვა ნაწილების სრული მოწ
ეტილობა და განცალკევება სახელ
იფოს ყოველგვარ კულტურულ-
ონომიურ საქმიანობისაგან.

მერე რამდენს მოიგებდა სახელმწიფო, რა ბედნიერი ვიქნებოდით, რომ საერთო სახელმწიფოებრივი მაჯის ცემა და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ახალი მოვლენა ერთნაირის ტემპით გაისმოდეს, როგორც ცენტრში ისე სახელმწიფოს ყველა მივარდნილ კუთხეებში. მთელი საუკუნოების განმავლობაში, რამდენი ენერგიაა დაგროვილი, ამ მივარდნილ ქვეყნებში, რომლის ამოძრავება და სათანადოთ გამოყენება ბევრ რამეს შესძენდა ჩვენს ქვეყანას. ესეც არ იყოს რა უამრავი სიმდიდრე და დოვლათია ხელუხლებელი და შეუსწავლელი ამ ქვეყნების ნიადაგში, რომლის დამუშავება საგრძნობლად ასწევდა სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობას. მაგრამ არ არის ცენტრსა და ამ მივარდნილ ქვეყნებს შორის ორგანიული კავშირი და ეს იმიტომ რომ არ გვაერთიანებს გზა—კვალი ხალხთან ვერ მისულვართ და ისინი ჩვენთან ვერ მოსულან.

ჩვენი ქვეყნის ასეთ მივარდნილ ადგილების პირველ რიგში სდგას საერთოდ სვანეთი და კერძოთ კი ზემო სვანეთი. გაზეთ კომუნისტის 30 დეკემბრის ნომერში მოთავსებულია ამხ. ფ. მახარაძის წერილი, რომელიც ეხება ზემო სვანეთში გზის გაყვანას. მეტად უნუგეშო ყოფილა სვანეთის საერთო მდგომარეობა:

„მთელ ზემო სვანეთში არ მოიპოვება არც ერთი უბრალო სავაჭრო. მრავალ საყოველთაო სახმარ ნივთს, როგორც მაგალითად, ნავთს, საპონს, წკირას (სპიჩკა) და სხვა ასეთებს სვანეთში ვერსად იპოვით, წამლათაც, რომ დაგჭირდეთ“.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას დიდი ყურადღება მიუქცევია ამ ჩამორჩენილ მხარესთვის და სცდილობს მის დაახლოვებას.

„ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გულწრფელად მოიწადინა ამ კუთხესთან დაახლოვება და მასთან მჭიდრო კავშირის შექმნა, რომ ზემო სვანეთის გლეხობა იხსნას გაჭირვებისაგან“.

„საქართველოს ცენტრალური მთავრობა შეძლებისდაგვარად უწევს სხვა და სხვა დახმარებას სვანეთის ხალხს, თითქმის ყველა 15 თემში გახსნილია სკოლები ორ ადგილას მუშაობს სამკურნალო დაწესებულება და სხ“.

სვანებსაც დაუფასებიათ მთავრობის ასეთი ყურადღებით მოპყრობა და ამის შედეგია სვანეთიდან მთავრობასთან ჩამოსული 35 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

„სხვა და სხვა საგანს ეხება სვანების შუამდგომლობა, ახალი სკოლების გახსნას, საექიმო დახმარების გაფართოებას, ღარიბ მოწაფეების დახმარებას სამაზრო დაწესებულებებისათვის შენობის აგებას და სხვა. მაგრამ რაც ყველაზე უმთავრესია ზემო სვანეთში გზის გაყვანას. უამისოდ ფუჭია სხვა საგნებზე ზრუნვა“.

„ჩვენ ვამბობთ გადაჭრით ეს გზა უნდა გაკეთდეს რათაც არ უნდა დაგვიჯდეს“.

ქვევით ამხ. ფილიპე მიუთითებს ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის ზომების გამონახვას და ამბობს:

„საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს სახით უნდა დაუყონებლივ ხელი მოკიდოს ამ საქმეს და გაიღოს თავისი წვლილი, მას დაეხმარება აგრეთვე ამიერ კავკასიის კომისართა საბჭოო“.

ბოლოს ის მიუთითებს კიდევ სხვა და სხვა ეკონომიურ კომისარიატებისაკენ რომლებმაც უნდა გაიღონ თავისი წვლილი და რაც მთავარია თვით ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ საბჭოთა ხელისუფლება ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობა ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს და ამით შესაძლებლად გახდის ამ ჯანსაღი ხალხის სახელმწიფოსადმი დაახლოვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო იარაღები.

ეს მაგალითი პირველია ამერიკის ისტორიაში, რომ სამეურნეო იარაღების გატანას გადააჭარბა შემოტანამ. უკანასკნელ წლის განმავლობაში ამერიკიდან გატანილია სამეურნეო იარაღები 1.927.000.000 დოლარის და შემოტანილია 2.315. მილ. დოლარის.

უმუშევრობა.

უმუშევართა რიცხვი შვეიკარიაში ნოემბერს იყო 27.000. მუშათა პრესა უმუშევრების გაზრდის მიზეზად ასახელებს მრეწველების საბოტაჟს, რომელნიც ცდილობენ ამ საშუალებით აიძულონ პროლეტარიატი და მიაღებიონ 48ს. მაგივრად 52 ს. სამუშაო კვირა.

გერმანიის ამბები.

„ფორვერტსის" პროტესტი.

„ფორვერტსმა" პროტესტით მიმართა რეიხსკანცლერ მარქსს და ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს, სრულიად გერმანეთის იუსტიციის გავარიზაციის გამო, რომელსაც მართავს ემინგერი.

ნოსკეს ბინის აფეთქების გამო.

გენორაში დააპატიმრეს მთელი რიგი კომუნისტებისა, რომლებსაც აბრალებენ ნოსკეს ბინის აფეთქებაში მონაწილეობის მიღებას.

„გერმანიის მრეწველებო, გაერთიანდით".

შუა გერმანეთის მრეწველთა კავშირის ვეიმარის განყოფილებამ მოწოდებით მიმართა ყველა მრეწველებს შეიტანონ შეწირულება ფულის სახით ბურჟუაზიული პარტიის საარჩევნო ფონდში.

მუშათა სოლიდარობის წინააღმდეგ.

ჰამბურგის ხელისუფალთა გამოსვლებს მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის წინააღმდეგ, ესალმება მემარჯვენე პრესა, რომელიც დაჟინებით მოითხოვს მთავრობისაგან მთელს გერმანიაში მსგავს ორგანიზაციების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის წარმოებას.

კაპიტალისტური ქვეყნები და საბჭოთა კავშირი.

რუსეთი ევროპის ყურადღების ცენტრში.

საფრანგეთ-ჩეხიის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომი „ჩეხის სიტყვა" მიუთითებს რუსეთთან დამოკიდებულების დაქერაზე, მსგავსად ფრანკო-ჩეხიისა, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი, როგორც გენუას დროს, კვლავ იმყოფება ევროპის ყურადღების ცენტრში.

ნიუ-იორკი. უმაგალითო ნიმუში უსამართლობის.

სენატორი ბორა, მოითხოვს რა „ნიუ-იორკ ტაიმსში" საბჭოთა მთავრობის ცნობის აუცილებლობას, საბჭოთა მთავრობისადმი მოკავშირეთა მოქმედებას ომის შემდეგ უწოდებს ისტორიაში არ გაგონილ სიმკაცრის, უსამართლობის და მეცობის მაგალითს.

ბორას აზრით, ინგლისის შემდეგ საიმედო მოვაჭრე ამერიკის არის რუსეთი, სადაც იგულისხმება, რომ უშუალო ვაჭრობა რუსეთთან საგრძნობ დახმარებას გაუწევს ამერიკის ფერმერებსა და მრეწველებს.

ბორა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამერიკელების რუსეთთან დღევანდელ ვაჭრობის გამო ევროპიელ შუამავალთა, განსაკუთრებით ინგლისელების საშუალებით.

რუსეთ-ამერიკის შორის დამოკიდებულების საკითხის გარჩევა.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლოდჟი იწვევს 4 იანვარს კომისიის კრებას რუსეთ-ამერიკის დამოკიდებულებათა საკითხის გასარჩევათ, განსაკუთრებით, ბორას რეზოლიუციის გადასასინჯავად, რომელშიაც მოთხოვნილია საბჭოთა მთავრობის ცნობა.

ირკვევა, რომ სახელმწიფოს დეპარტამენტს არ აქვს ახალი დამამტკიცებელი საბუთები ბრალდებათა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პრესის წარმომადგენელთა ცნობით, ლოდჟი აპირებს იუზას მიერ გამოცემულ დოკუმენტების გამორკვევას და მოახდინოს ეს გამოძიება მუშათა განათლების კომისიის საშუალებით ბორას თავმჯდომარეობით.

გასული წელი.

(საერთაშორისო პოლიტიკის მიმოხილვა).

იმპერიალისტურ ომის დაწყებიდან და ოქტომბრის დიდ რევოლიუციის დღიდან ამბები თავბრუდამხვევ სისწრაფით ვითარდებიან. რაც დღეს მისაღებია — ის ხვალ არაფრად არ ღირს; რაც დღეს მეტად ნაადრევად მიგაჩნია — ხვალ ის სინამდვილედ იქცევა; ასე დაუსრულებლივ მიდიან დრონი.

მსოფლიოს მდგომარეობა ძირფესვიანათ შეიცვალა იმპერიალისტური ომის შემდეგ. ოქტომბრის რევოლიუციამ შეარყია კაპიტალიზმის ამაყი შენობა და სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა მტაცებელ ბურჟუაზიას. დედამიწის ერთ მეექვსედზე განმტკიცდა მშრომელთა ხელისუფლება.

ჯერ არ მომხდარი ამბების მოწამენი ვართ ჩვენ. ამ მახსოვს, რომელიც დიდმა მწერალმა გასულ საუკუნეში თქვა: ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ დღევანდელი ხანაში ვცხოვრობთ. ეს სიტყვები დღეს ჩვენ სრულიად უცვლელად შეგვიძლია გავიმეოროთ. მართლაც ბედნიერი ვართ, რომ ახალ ცხოვრების, ახალი ეპოქის დასაწყისის მოწამენი ვართ.

გასული წელიც, როგორც სხვა უკანასკნელი 6—7 წელი მეტად მდიდარია მრავალგვარ მოვლენებით. და დღეს, როდესაც ვემშვიდობებით 1923 წელს, საჭიროა მოკლე მიმოხილვა საერთაშორისო პოლიტიკის. ეს წერილი, რა თქმა უნდა, ვერ ამოსწურავს სავსებით მსოფლიოში მომხდარ მოვლენებს. ამისათვის საჭიროა მთელი წიგნების დაწერა. ჩვენს გაზეთში კი ამისთვის ადგილი არარის. ჩვენ შევეხებით უმთავრეს ამბებს და ისიც მეტად მოკლე იქნება.

რურის ოკუპაცია.

გასულ წლის დასაწყისს, 11 იანვარს საფრანგეთის იმპერიალიზმის ერთგულმა დარაჯმა პუანკარემ დასძრა ჯარები და შეუდგა გერმანიის მრეწველობის გულის რურის ოლქის ოკუპაციას. პუანკარე ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახოდა, რომ ის მიდის რურში, რათა აიძულოს გერმანია საერეპარაციო გადასახადები დროზედ გადაიხადოს და როცა ის ამას შეასრულებს საფრანგეთი დასტოვებს რურსო. მაგრამ პუანკარეს და საფრანგეთის იმპერიალიზმის ზრახვანი თავიდანვე ნათელი იყო ყველასათვის.

საფრანგეთის კაპიტალის მეტოქე და კონკურენტი გერმანიის ბურჟუაზია დამარცხდა და პუანკარემაც იხელთა დრო მისი სავსებით გასანადგურებლად.

რურის ოკუპაციამ აღშფოთება გამოიწვია გერმანიის ხალხში.

საბჭოთა ქვეყნების მუშათა კლასმა ხმა აღიმაღლა საფრანგეთის მტაცებლების წინააღმდეგ და მოუწოდა მსოფლიო მუშათა კლასს სასტიკი წინააღმდეგობისაკენ. მსოფლიო მუშათა კლასის ხმა სუსტი გამოდგა. გერმანიის პროლეტარიატმა, დაუძლურებულმა სოც.-დემოკ. ღალატით ვერ შეიძლო შესაფერი წინააღმდეგობის გაწევა. გერმანიის ბურჟუაზიამ წამოისროლა ნაცადი ნაციონალისტური ლოზუნგები საფრანგეთის წინააღმდეგ და სოც.-დემოკრატიის ერთგული დახმარებით მან შესძლო ნაციონალურ გრძნობების გაღვივება.

დრო გადიოდა. პუანკარე აძლიერებდა ოკუპაციის რეჟიმს. გერმანიის ბურჟუაზიამ ხელი აიღო აშკარა წინააღმდეგობაზე და პასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკას წარმოება დაიწყო რურში. გამეფდა რურში სასტიკი სამხედრო. რეჟიმი მრავალი ათასი გერმანელი მუშები და მოსამსახურები დათხოვნილ და გადასახლებული იქმნენ. სისხლის მღვრელ შეტაკებებს თითქმის ყოველ დღე ჰქონდა ადგილი. რურის მუშათა კლასი ორ ცეცხლს შუა მოექცა ერთის მხრივ გმინავდა საფრანგეთის რეჟიმის ქვეშ, მეორე მხრივ მას ტყავს აძრობდა გერმანიის ბურჟუაზია. გერმანიის ბურჟუაზიას არაფერი დაუკარგავს რურის ოკუპაციით. პირიქით, მან ბევრი მოიგო.

გერმანიის ბურჟუაზიას არ სურდა ქედი მოეხარა პუანკარეს წინაშე. მაგრამ ბოლოს პუანკარემ გასტეხა პასიური წინააღმდეგობა და გერმანიის ბურჟუაზია წამოაჩოქა. პასიური წინააღმდეგობის გაუქმების შემდეგ გერმანიამ დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთთან. პუანკარე კი აჭიანურებდა მოლაპარაკებას. უკანასკნელ დღეებში მოლაპარაკება გერმანიის და საფრანგეთის შორის დაიწყო. შედგა კომისიები გერმანიის უნარიანობის გამოსაკვლევად და სხ.

მოლაპარაკება გადავიდა **1924** წ. რითაც არ უნდა დამთავრდეს ეს მოლაპარაკება ერთი ეხლავე ცხადია: გერმანიის ბურჟუაზიის და საფრანგეთის იმპერიალიზმის შეთანხმება მოხდება გერმანიის მუშათა კლასის ხარჯზე ამის ნიშნები ძალიან ბევრი იყო და არის დღესაც, როგორც მაგ. რვა საათის სამუშაო დღის გაუქმება, გადასახადების გაწერა გერმანიის მუშათა კლასზე და სხ. მაგრამ ამაზედ ქვემოდ.

კერზონის ულტიმატუმი.

მეორე მთავარი ფაქტი გასულ წელში არის კერზონის ცნობილი ულტიმატუმი საბჭოთა მთავრობისადმი. ლლოიდ ჯორჯმა სამი წლის უკან, როდესაც ეხებოდა ინგლისის მდგომარეობას თქვა: ვინ ამიხსნის მე იმ გარემოებას, რომ ინგლისელის სახელი თვით ინგლისის კოლონებშიაც კი მეტად არა პოპულიარული ხდება და დღითი დღე ეცემა. და მართლაც, უნუგეშოა ინგლისის მდგომარეობა. კოლონიებში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა, ინგლისის გუშინდელი ყურმოჭრილ მონები კოლონიებში დღეს აჯანყებებს აწყობენ. შეირყა ინგლისის გავლენა კოლონიებში. უმუშევრობამ ინგლისში ფართე ხასიათი მიიღო. მრეწველობა კრიზისის განიცდის.

თავისი ასეთი მდგომარეობა ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიაწერა და... მაისის რვას გამოუგზავნა საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი. კერზონის თავხედური ულტიმატუმი სავსე იყო ბრალდებებით საბჭოთა მთავრობის მიმართ და მოითხოვდა აღმოსავლეთში აგიტაციის შეწყვეტას, რომელსაც ვითომ საბჭოთა მთავრობა აწარმოებდა ინგლისის წინააღმდეგ.

ნამდვილი აზრი კერზონის ულტიმატუმის სულ სხვა იყო.

კერზონი ცდილობდა დაებრუნებია ის ქონება თავის ბურჟუაზიისათვის, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ ჩამოართვა მათ და მშრომელი ხალხის საკუთრებად გამოაცხადა. ამისათვის კერზონმა შეთხზა რაღაც ჭორები, და ყოველგვარ ურთიერთობის შეწყვეტით დაემუქრა საბჭოთა მთავრობას.

თავხედი ლორდი და მისი დამქაშები სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. საბჭოთა კავშირის მშრომელების მტკიცე ნებისყოფაზე დაიმსხვრა კერზონის ულტიმატუმი. გერმანიის ბურჟუაზიის დიდი ნაწილიც წინ აღუდგა კერზონს. დარჩა კერზონი გარიყული და ის იძულებული იყო უკან დაეხია.

გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა და სოც. დემოკრატიის ღალატი.

გამარჯვებულ ანტანტას შეთხზულმა ვერსალის ყაჩაღურმა ზავმა ჩიხში მოამწყვდია გერმანია და მას გასაქანი არ მისცა. საფრანგეთის რეაქციონური იმპერიალიზმი დაეწვა გერმანიას, დაიკავა და ომის მიერ გამოწვეულ ხარჯების და სხვა ვალების დაფარვას გერმანიიდგან მისაღებ სარეპარაციო გადასახადებით ფიქრობს. პუანკარეს დაწოლამ გერმანიაზე და გერმანიის ბურჟუაზიის მიერ ყოველგვარ გადასახადების მუშათა კლასის კისერზე გადატანამ გაუგონარ ფინანსიურ კრიზისამდე მიიყვანა გერმანია. სტინნესების, კრუპების და ერთ მუჭა კაპიტალისტების ხელში დაგროვდა მთელი სიმდიდრე.

კუნოს მთავრობა ხელს უწყობდა მათ. მუშათა კლასი, წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია გაძვალტყავდა, მათ არ გააჩნდათ საარსებო საშუალება, ასეთმა მდგომარეობამ აიძულა გერმანიის პროლეტარიატი გამოსულიყო ქუჩაში და ეთქვა თავისი სიტყვა. გერმანიის პროლეტარიატის შეტევით დაეცა კუნოს წმინდა ბურჟუაზიული კაბინეტი. სოციალ-დემოკრატიის აქტიური დახმარებით შედგა შტრეზემანის დიდი კოალიცია. შტრეზემან—გილფერდინგის მთავრობამ ოდნავადაც ვერ იხსნა გერმანია. ფინანსიურმა და სასურსათო კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია.

შტრეზემანი იძულებული იყო ქედი მოეხარა პუანკარეს წინაშე პასიური წინააღმდეგობის გაუქმებით. გერმანიის შინაური მდგომარეობა საათობით უარესდებოდა. სასოწარკვეთილებამდი მისულმა მუშათა კლასმა აღმართა წითელი დროშა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პირველ ხანებში დაიბნა ბურჟუაზია. მას არ შესწევდა ძალა მუშათა კლასის დასამორჩილებლად. საქსონიაში და ტიურინგიაში შესდგა მუშათა მთავრობები. რეაქციონური ბავარია მოწყდა ცენტრს და ფაშისტურ დიქტატურის ქვეშ მოექცა. და სწორედ ასეთ გაჭირვების დროს გაუწოდა დახმარების ხელი სოც.-დემოკრატიამ გერმანიის ბურჟუაზიას.

სოციალ დემოკრატიის გავლენა მუშათა კლასზე დიდი იყო. კომ. პარტია შედარებით ახალი პარტია არის გერმანიაში. და ჯერ მას ვერ დაეპყრო მუშათა კლასის უმრავლესობა. მართალია კომპარტია არის მოწინავე ნაწილი გერმანიის პროლეტარიატის, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისათვის ეს არ კმარა. გერმანიის პროლეტარიატის უმრავლესობა სოციალ დემოკრ[illegible] და მისგან მოელოდა ხსნას[illegible] ის სასტიკად მოსტყუვდა. [illegible]რიალისტურ ომის, შემდეგ ნოემბრის რევოლიუციის დროს და უკანასკნელად კი გასულ წლის შემოდგომაზე—გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ზედი ზედ გასცა გერმანიის პროლეტარიატი, მიყიდა ბურჟუაზიას.

გერმანიის რევოლიუციის დამარცხება სოციალ-დემოკრატიის საქმეა. მესამეჯერ გასცა სოც.-დემოკრატიამ გერმანიის მუშათა კლასი და ეს იქნება უკანასკნელი. სოც.-დემ. დასამარება რევოლიუციის გამარჯვების საუკეთესო თავდებია. სამარცხვინო დაღი, რომელიც დაასვა გერ. სოც.-დემ. თავის თავს არავითარ შემთხვევაში არ წაიშლება. გერმანიის პროლეტარიატი გადაუძახებს მას უფსკრულში.

ინგლისის პარლამენტის არჩევნები. საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი.

გასულ წლის მიწურულში იპყრობს ინგლისის პარლამენტის არჩევნები განსაკუთრებულ ყურადღებას. მუშათა პარტიის გამარჯვება და კონსერვატორების დამარცხება საგრძნობლად შეცვლის ინგლისის საგარეო პოლიტიკას. კონსერვატიული კაბინეტი პუანკარეს მოკავშირე იყო გერმანიის საკითხში. მომავალი მუშათა ან ლიბერალური მთავრობის პოლიტიკა გერმანიის მიმართ სულ სხვა გვარი იქნება, გერმანიის მშრომლების ბედი არც ერთს არ აინტერესებს დიდათ, მაგრამ ინგლისისათვის საფრანგეთის გაძლიერება არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე გერმანიის,

მეორე მთავარი შედეგი მუშათა პარტიის გამარჯვების იქნება საბჭოთა კავშირის ცნობა და მასთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარება. მუშათა პარტია ამ ლოზუნგით გამოდიოდა არჩევნებში. და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როგორც ამას აღნიშნავენ ინგლისის ყველა გაზეთები-მუშათა მთავრობის პირველი ნაბიჯი საბჭოთა კავშირის ცნობა იქნება.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი პირველ რიგში დგას არა მარტო ინგლისში, არამედ ევროპის და ამერიკის ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. იტალიის მთავრობის მიერ სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცება, ამერიკაში გამართული კამათი იუზსა და ბორას შორის. საფრანგეთის რადიკალურ ბურჟუაზიის მოთხოვნილება, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის და სხ. ქვეყნების დამოკიდებულება ჩვენდამი ამტკიცებენ, რომ **1924** წლის დასაწყისი—ამავე დროს იქნება საბჭოთა კავშირსა და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის ნორმალურ დამოკიდებულების დასაწყისი.

—

გასული წლების გამოცდილებით ვეგებებით ჩვენ მომავალ წელს და იმედი გვაქვს, რომ **1924** წელი დაათავებს ჩვენს ბევრ დაწყებულ საქმეს. თავის მხრივ კი ის ანგარიშს ჩააბარებს შემდეგ წელს.

ს. ვ.